თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია

კონკურსის მეშვეობით ქ. ბათუმში, ფიროსმანისა და ხახუტაიშვილის ქუჩების კეთილმოწყობის, ფიროსმანისა და გრიბოედოვის ქუჩის შემაერთებელი ქუჩის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის საკონკურსო დოკუმენტაცია

ქ. ბათუმი

2011

სარჩევი

1. საკონკურსო განცხადება 3
2. საკონკურსო პირობები 5
3. ტექნიკური დავალება 10
4. საბანკო გარანტიის ფორმა 13

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე.

1. <u>საკონკურსო განცხადება</u>

1.1. თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია აცხადებს კონკურსს ფიროსმანისა და ხახუტაიშვილის ქუჩების კეთილმოწყობის, ფიროსმანისა და გრიბოედოვის ქუჩის შემაერთებელი ქუჩის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუ-მენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და კონკურსში მონა-წილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს;

1.2. კონკურსის მიზანია ქ. ბათუმში, ფიროსმანისა და ხახუტაიშვილის ქუჩების კე-თილმოწყობის, ფიროსმანისა და გრიბოედოვის ქუჩის შემაერთებელი ქუჩის მშენებლობის საუკეთესო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გამოვლენა.

1.3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარს;

1.4. საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (<u>http://procurement.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=39</u>);

1.5. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახ-დის თარიღი;
ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი (თვით-მმართველი ქალაქის - ბათუმის მერია, ს/კ 245576826);
გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი;

1.6. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადას-ტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. 1.4 და 1.5 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვე-ვაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას;

1.7. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე;

1.8. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ. უცხო ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს;

1.9. საკონკურსო წინადადების მიღება იწყება 2011 წლის 15 დეკემბერს;

1.10. საკონკურსო წინადადების მიღება მთავრდება 2011 წლის 20 დეკემბერს, 17:00 საათზე;

1.11. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ 2011 წლის 20 დეკემბრის 17:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის №25, 1-ლი სართული, ოთახი №7;

1.12. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს;

1.13. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადება არ განიხილება.

2. საკონკურსო პირობები

2.1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

2.1.1. იურიდიული პირებისათვის:

ა) ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ.

2.1.2. ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა უფლებამოსილი ორგანოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

2.1.3. როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისათვის:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

ბ) ცნობა შემოსავლების სამსახურიდან (საგადასახადოდან) ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ;

გ) არარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

2.1.4. საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა:

ა) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები, წარმოდგენილ უნდა იქნეს შემსყიდველ ორგანიზაციაში მოთხოვნის შესაბამისად, კონკურსანტის გამარჯვებულად გამოცხადების შემდგომ, ხელშეკრულების დადებამდე;

ბ) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს კონკურსისათვის სტატუსის „კონკურსი გამოცხადებულია“ მინიჭების შემდგომ.

2.2. შეფასების კრიტერიუმები:

საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმებით:

ა) საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი – 0.7;

ბ) ანალოგიური საქმიანობის გამოცდილების შესახებ: კოეფიციენტი – 0.3;

გ) შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით;

დ) კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა; ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტს წარმოადგენს კომისიის თავმჯდომარის პოზიცია.

2.3. ინფორმაცია კონკურსანტის გამოცდილების შესახებ:

ა) კონკურსში მონაწილე პრეტენდენტს უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში (2008, 2009, 2010 წ.) და 2011 წლის 1 ნოემბრამდე შესრულებული უნდა ჰქონდეს კონკურსით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის მომსახურება (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება) საერთო ღირებულებით არანაკლებ 250 000 (ორას ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით;

ბ) ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს **ცხრილი №1-ის** შესაბამისად;

გ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (ხელშეკრულების ასლები ხარჯთაღრიცხვით, მომსახურების გაწევის მიღება-ჩაბარების აქტების ასლები). ეს მოთხოვნა არ ვრცელდება ქ. ბათუმის მერიის დაკვეთით შესრულებულ სამუშაოებზე.

2.4. საკონკურსო წინადადების ფასი:

ა) საკონკურსო წინადადების ფასში ასახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი;

ბ) თუ პრეტენდენტი არ არის დღგ–ს გადამხდელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მისი საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს დღგ-ს გარეშე (კონკურსანტმა შენიშვნის სახით უნდა მიუთითოს გარემოება, რის საფუძველზეც არ ითვლება დღგ-ის გადამხდელად);

გ) საკონკურსო წინადადება, რომლის ფასიც აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას (50 000 ლარი), არ განიხილება.

2.5. ხელშეკრულების აუცილებელი პირობები:

2.5.1. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია:

ა) გამარჯვებულმა პრეტენდენტმა ხელშეკრულების დადებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10% პროცენტის ოდენობით, **დანართი №1**–ის მიხედვით;

ბ) ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 60 (სამოცი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების ვადას.

2.5.2. ანგარიშსწორების პირობა:

ა) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, ვალუტა - ლარი;

ბ) შესაძლებელია საავანსო ანგარიშსწორება, არა უმეტეს 50%-ისა, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტიის საფუძველზე. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 60 (სამოცი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების ვადას;

გ) ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

2.5.3. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა:

ა) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,5 % პროცენტის ოდენობით;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 5% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

გ) საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

დ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

2.5.4. მომსახურების ვადა:

ა) კონკურსანტმა მომსახურება უნდა განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 60 (სამოცი) კალენდარული დღისა.

2.5.5. ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტი დაზუსტდება კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში, გარდა საკონკურსო დოკუმენტაციის **2.5.** პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებისა.

2.6. კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს:

ა) საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში შემდეგი თანმიმდევრობით:

- საკონკურსო წინადადების ფასი, ვალუტა-ლარი;
- ტექნიკური დავალება, კონცეფცია, განმარტებითი ბარათი;
- ინფორმაცია კონკურსანტის გამოცდილების შესახებ;
- ხელშეკრულების აუცილებელი პირობები;
- კონკურსანტი პირის რეკვიზიტები, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

- კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება
- საიდენტიფიკაციო კოდი/ ნომერი
- კონკურსანტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი:
- ხელმძღვანელის სახელი, გვარი
- კონკურსანტის ტელეფონის ნომერი: ☎ ტელ.: ; 🖷 ფაქსი.: ; 📱 მობ.:
- ელექტრონული მისამართი, E-mail:
- ბანკის დასახელება
- ბანკის კოდი
- ანგარიშსწორების ანგარიში

ბ) ყველა დოკუმენტი ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

2.10. საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება შესაძლებელია საკონტაქტო პირისაგან: ბაგრატ ხალვაში, ტელ: (8422) 27 26 18. წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25; პირველი სართული, მე-7 ოთახი; E mail: tender@batumi.ge.

ცხრილი N1

ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ

N	მომსახურების დასახელება (თითოეული ობიექტის მიხედვით)	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	გაწეული მომსახურების ღირებულება
1				
2				
3				
...	**ჯამი (2008 წელი)**			
1				
2				
...				
ჯამი (2009 წელი)				
1				
2				
...				
ჯამი (2010 წელი)				
1				
2				
...				
ჯამი (2011 წლის 1 ნოემბრამდე)				
სულ ჯამი				

პრეტენდენტის ხელმოწერა _____ ბ.ა.

3. ტექნიკური დავალება:

2.1 შესყიდვის ობიექტი:

ა) ქ. ბათუმში, ფიროსმანისა და ხახუტაიშვილის ქუჩების კეთილმოწყობის, ფიროსმანისა და გრიბოედოვის ქუჩის შემაერთებელი ქუჩის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება (ფიროსმანის ქ. - 660 გრძ.მ, ხახუტაიშვილის ქ. – 300 გრძ.მ, ფიროსმანისა და გრიბოედოვის ქუჩის შემაერ-თებელი ქუჩა - 276 გრძ.მ, საერთო სიგრძე 1236 გრძ. მ).

2.2 გასაწევი მომსახურება:

საველე კვლევა-ძიება და კამერალური სამუშაოები;

ა) საპროექტო სამუშაოები;

ბ) სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და ობიექტის სავარაუდო ღირებულების დადგენა;

გ) სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება;

დ) საჭირო შემთხვევებში დამატებითი მომსახურების გაწევა:

ე) დეფექტური უწყისებით ხარჯთაღრიცხვების შედგენა;

ვ) ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება;

ზ) გეოლოგიური გამოკვლევა.

2.3. დავალების შინაარსი

მიმწოდებელთან შეთანხმებით, საჭიროებისას, სხვადასხვა გარემოებებიდან და მი-ზეზებიდან გამომდინარე, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილე-ბები შეთანხმებულ საწყის გეგმაში: გაზარდოს ან შეამციროს მომსახურების მოცულობა ცალკეულ პუნქტებში. შესასრულებელი სამუშაოების ხარისხის გაზრდისა და ღირებულების შემცირების მიზნით მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ყოველი კონკრეტული საპროექტო სამუშაოები შეასრულოს სამუშაოების კლასიფიკაციის ინსტრუქციის შესაბამისად (საუწყებო სამშენებლო ნორმები) და ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული პირობებით:

ბ) საკვლევაძიებო და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის მოახდინოს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და პირებთან პროექტის საჭირო წინასწარი შეთანხმებები, გარდა სამშენებლო მოედნისა, ტერიტორიის გამოყოფის და განთავისუფლებისა, რომელიც წარმოად-გენს შემსყიდველის მოვალეობას;

გ) პროექტებში გათვალისწინებულ უნდა იყოს მშენებლობაში მიღწეული და დაგ-როვილი საერთაშორისო გამოცდილებები ახალი ტექნოლოგიებისა და მოწყობი-ლობების გამოყენებით ქვეყნის სპეციფიკური პირობებიდან გამომდინარე;

დ) პერიოდული შეკეთებისა და სარეაბილიტაციო სამუშაოების და დეფექტური უწყისებით ხარჯთაღრიცხვების შედგენისას პროექტების ღირებულება მიმწოდებელმა უნდა განსაზღვროს დასაბუთებული კალკულაციებით და ღირებულებებით.

ე) მიმწოდებელი პასუხისმგებელია ყველა საჭირო საოფისე ფართის, აღჭურვილობის, მოწყობილობის, ტრანსპორტის უზრუნველყოფაზე და ყველა საველე სამუშაოებისათვის საჭირო ტექნიკაზე.

2.4. დავალების შესრულების წესი

ა) დავალების შესრულების წესი განისაზღვრება დავალების შინაარსით და ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით;

ბ) გამარჯვებულმა კონკურსანტმა ქუჩების ძირითადი გეგმა და პარამეტრები უნდა შეათანხმოს შემსყიდველ ორგანიზაციასთან. შემსყიდველი ორგანიზაცია იტოვებს უფლებას, შეიტანოს ცვლილებები წარმოდგენილ ძირითად გეგმაში.

2.5. ნორმატიული დოკუმენტები

პროექტის ძირითადი სახელმძღვანელო ნორმატივებია:

ა) სნიპ II-9-78 = მშენებლობისათვის საინჟინრო-საძიებო სამუშაოები, ძირითადი დებულებები;

ბ) სნიპ 2.04-02-84 = წყალმომარაგება, გარე ქსელები და ნაგებობები;

გ) სნიპ II-32-74 = კანალიზაცია, გარე ქსელები და ნაგებობები;

შენიშვნა: სამუშაოების სახეობების და კონსტრუქციული ელემენტების პროექტირებისას მიმწოდებელი ხელმძღვანელობს საქართველოში მიღებული შესაბამისი სხვა ნორმებით და სტანდარტებით.

2. 6. მიმწოდებლის პასუხისმგებლობა

ა) მიმწოდებელი პასუხისმგებელია სრულყოფილი საპროექტო–სატენდერო დოკუ-მენტაციის ხარისხიანად დამუშავებაზე და სამშენებლო სამუშაოების სახარჯ-თაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის დაშვებული ხარვეზების გამო მშენებლო-ბის პროცესში აღმოჩნდება სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 10%-ზე მეტი გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ ანაზღაურებას მიმწოდებე-ლი იღებს თავის თავზე.

2.7. კუთვნილება

ა) ამ დავალებასთან დაკავშირებით მომზადებული ნებისმიერი შესწავლა, ანგარიშები, გრაფიკული ან სხვა სახის მასალები ეკუთვნის შემსყიდველ ორგანიზაციას და რჩება მის საკუთრებაში.

ბ) მიმწოდებელს არ აქვს ამ მასალების გამოყენების უფლება სხვა სამუშაოების შესასრულებლად შემსყიდველის წინასწარი თანხმობის გარეშე.

გ) მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს პროექტის სრული მოცულობის ელექტრონული ვერსია.

2. 8. საპროექტო დოკუმენტაციის რაოდენობა

ა) მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია 4 ეგზემპლარად და მისი შესაბამისი ელექტრონული ვარიანტი. ელექტრონულ ვარიანტში ტექსტური დოკუმენტაცია (ხარჯთაღრიცხვა, განმარტებითი ბარათი და ა.შ.) უნდა იყოს დაბეჭდილი შრიფტით Sylfaen, ხოლო ნახაზები უნდა იყოს PDF ფორმატში, ამასთანავე თითოეული ფაილის ოდენობა ზომით არ უნდა აღემატებოდეს 7 მეგაბაიტს.

4. საბანკო გარანტიის ფორმა

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა
(საბანკო გარანტია)

ვის: ქ. ბათუმის მერიას
(შემსყიდველის დასახელება)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ _____
(მიმწოდებლის დასახელება)

შემდგომში "მიმწოდებელმა" _____ ტენდერში წარდგენილი თავისი
(ტენდერის დასახელება)

სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე

_____ _____
(თანხა ციფრებით) (თანხა სიტყვებით)

და ვკისრულობთ ზემო აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე.

წინამდებარე გარანტია ძალაშია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების საბოლოოდ დამთავრებამდე.

გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი

_____
(თარიღი)

_____
(მისამართი)